

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „ინსი თაუერი“

405043484

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6-16

შპს "ინსი თაუერი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის უწყისი

31.12.2018

01.01.2018

აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	3 556 549	3 392 543
საინვესტიციო ჯონება	500 930	0
გადახდილი ავანსები	18 161	130 180
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	0	0
	4 075 640	3 522 723
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	62 497	2 014
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1 115 412	127 857
მარაგები	8 251 442	7 309 714
მისაღები დივიდენდები	0	0
მისაღები პროცენტები	0	0
	9 429 351	7 439 585
მთლიანი აქტივები	13 504 991	10 962 308
მთლიანი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	3 086 538	4 285 058
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	7 998 786	4 567 820
გადაფასების რეზერვი	0	0
	11 085 324	8 852 878
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	0	0
ანარიცხები	0	0
გადავადებული შემოსავალი	0	0
	0	0
მიმდინარე ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	1 267 014	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1 126 156	1 582 740
მოგების გადასახადის ვალდებულება	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	26 492	526 690
გადასახდელი პროცენტი	0	0
გადასახდელი დივიდენდი	5	0
	2 419 667	2 109 430
მთლიანი ვალდებულებები	2 419 667	2 109 430
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	13 504 991	10 962 308

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:

შპს " ინსი თაუერი "

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის დასრულებულიწლისათვის

მოგება - ზარალის ანგარიშგება 01.01.2017	
ამონაგები	6 542 564
თვითღირებულება	(415 813)
საერთო მოგება	6 126 751
სხვა შემოსავლები	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(2 671 127)
მიწოდების დანახარჯები	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	29 613
სხვა ხარჯები	(500)
საოპერაციო მოგება	3 484 737
ფინანსური შემოსავალი	-
ფინანსური ხარჯი	(53 771)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	(53 771)
მოგება დაბეგვრამდე	3 430 966
მოგების გადასახადი	
მოგება წლის ბოლოს	3 430 966.27

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:

შპს "ინსი თაუერი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი	4 285 058	0	4 567 820	8 852 878
მოგება წლის ბოლოს	(1 198 520)	-	3 430 966	2 232 446
გაცემული დივიდენდი			-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	3 086 538	-	7 998 786	11 085 324

შემოწმება, 2018

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ინსი თაუერი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2014 წლის 16 მაისს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით - 405043484. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისის საბურთალოს რაიონი, მიროტაძის ქ. N4, ფაქტიური მისამართი თბილისი, მიროტაძის ქ. N4. კომპანია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2014 წლის 04 ივნისს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროექტირება და საამშენებლო საქმიანობა. შპს „ინსი თაუერი“ საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილია ამჟამად საამშენებლო საქმიანობით, თუმცა აგრეთვე გეგმავს განახორციელოს სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობა, რაც კანონით არ არის აკრძალული.

კომპანიის 50%-იანი წილის მფლობელია ირაკლი აბულაძე და 50%-იანი წილის მფლობელი თამარ ცერცვაძე. დირექტორია ირაკლი ტოგონიძე. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 3 086 538 ლარს, ხოლო გაუნაწილებელი მოგებაა 7 998 786 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 35 ადამიანი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

არის ფუნქციონირებადი საწარმო და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით.

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრს.

კომპანიის წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2018 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2018

წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად გამოყენებულია ქართულ ლარი.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის.

კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2,5922	3,1044

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ პერიოდს თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის

რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ იქნება აღიარებული მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხულია ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად, განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. (კომპანიას წარმოდგენილ პერიოდში, ძირითადი საშუალებების გასვლა არ უფიქსირდება).

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
კომპიუტერული ტექნიკა საინვესტიციო ქონება (კომერციული ფართი)	5 წელი 30-50 წელი
სპეციალური ინსპრუმენტები საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5 -7 წელი 5-7 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალურ აქტივს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები 7 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). თუმცა კომპანიას ბალანსზე არ ეწიცხება როგორც საკუთარი არამატერიალური აქტივი.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების

აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის (საცხოვრებელი ან/და კომერციული ფართის) გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საცხოვრებელი ფართის (საქონლის) ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც საცხოვრებელი ფართი გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, (ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ამას აღვიღო არაქვს) ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები და ბონუსები აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. კომპანიას არ გააჩნია არსებითი მნიშვნელობის მოვლენები.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია

მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის (დავალიანების) დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. ძირითადად კომპანიას 2017-2018 წწ აქვს შეძენილი ძირითადი საშუალებები, თუ არ ჩავთვლით მიწას, რომელიც კომპანიის ბალანსზეა და ამორტიზაცია არ ერიცხება. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. როგორც ავრნიშნეთ კომპანიას 1 ან 1,5 წლის პერიოდში აქვს შეძენილი ძირითადი საშუალებები, ამიტომ მათი მომსახურების ვადებზე ხელმძღვანელობას განსაკუთრებული შეფასება არ გაუკრთებია. აგრეთვე კომპანიას გააჩნია საინვესტიციო ქონება 2018 წლის აგვისტოს თვიდან, (იჯარით გაცემული ფართი) გამოყოფილია ცალკე ჯგუფად და შესაბამისად დარიცხულია ამორტიზაცია პერიოდის მიხედვით. (წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების ცხრილი).

პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ

გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი ექნება მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

სხვა ფინანსური შემოსავალი

კომპანის საქართველოს ფინანსურ ინსტიტუტებში დეპოზიტები განთავსებული არა აქვს.

ლარში	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 1 იანვარი
დეპოზიტის თანხა	0	0
მისაღები პროცენტები	0	0
სულ ჯამი	0	0

თუმცა კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია სასესხო ვალდებულება კომერციული ინსტიტუტის (ბანკი) წინაშე, რომელიც წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის უწყისში და იგი შეადგენს 1 267 014 ლარს.

ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა ნაგებობები	-	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სპეციალური ინსტრუმენტ ები	კომპიუტერუ ლი ტექნიკა	მიწა	ჯამი
ლარში							
2017 წლის ბოლოს მდგომარეობით	0 -		0	29088	3,983	3360910 -	3393981
შესყიდვა					1591	172964	1591
გასვლა							
გაუფასურება							
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია							
გადაფასების რეზერვი							
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	500 930		3109	29288	5574	3360910	538901
დაგროვილი ცვეთა							
2017 წლის ბოლოს მდგომარეობით	0 -		0	4018	332	-	4350
ცვეთის ხარჯი				4618	1115	-	5733
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა							
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	10436		0		1447		3545757
საბალანსო ღირებულება							
2017 წლის ბოლოს	-			25270	3651	3360910	3389831
2018 წლის ბოლოს	490494		3109	20652	1427	3533874	4049556

პირობითი ვალდებულება

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წელს კომპანიის საამშენებლო ობიექტზე, მოხდა უბედური შემთხვევა, სიმაღლიდან ვარდნის შედეგად გარდაიცვალა ერთი ადამიანი. რაზედაც მიმდინარეობს შესაბამისი საქმის წარმოება სასამართლოში.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2019 წლის 25 სექტემბრით;

დირექტორი:

